

#### 4. გეგმის შესავალი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისათვის“ შეუერთდა 2017 წლის 30 სექტემბერს და აიღო ვალდებულებები მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებისათვის.

ზესტაფონი მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალური ნაწილის – იმერეთის შუაგულში, ზღვის დონიდან 90 მეტრიდან (მინიმალური) და 1100 მეტრამდე (მაქსიმალური) სიმაღლის ზონაში; მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია 423.7 კვ.მ.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის ცენტრალური ავტო და სარკინიგზო მაგისტრალი, მუნიციპალიტეტის ცენტრი - ქალაქი ზესტაფონი წარმოადგენს სატრანსპორტო კვანძს და საკმაოდ ეფექტური მდებარეობა აქვს. იგი დედაქალაქიდან – თბილისიდან დაშორებულია 180 კმ-ით, უახლოესი აეროპორტიდან (ქუთაისი) დაშორებულია 55 კმ-ით. უახლოესი პორტიდან (ფოთი) დაშორებულია 150 კმ-ით. იმერეთის რეგიონალურ ცენტრისგან, საქართველოში სიდიდით მესამე ქალაქიდან - ქუთაისიდან დაშორებულია 35 კმ-ით. ზესტაფონი უშუალოდ ესაზღვრება იმერეთის რეგიონის შემდეგ მუნიციპალიტეტებს: ჭიათურა, ხარაგაული, ზაღდადი, თერჯოლა.

მოსახლეობის რაოდენობა 2018 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 57 628 კაცს. მათ შორის - 28 082 არის მამაკაცი, რაც მთლიანი მოსახლეობის 48.73 %-ს შეადგენს, ხოლო 29 546 არის ქალი, მთლიანი მოსახლეობის 51.27 %-ია. მოსახლეობის 64.55 %, ანუ 37 200 კაცი ცხოვრობს სოფლად, ხოლო 35.45 %, ანუ 20 428 კაცი ცხოვრობს ქალაქში.

2018 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტში შრომისუნარიანი მოსახლეობა შეადგენდა 33 309 კაცს, ანუ მთლიანი მოსახლეობის 57.8 %-ს. მათ შორის ქალი – 15 950, ანუ მთლიანი შრომისუნარიანი მოსახლეობის 47.9 %, ხოლო მამაკაცი 17 359, ანუ მთლიანი შრომისუნარიანი მოქალაქეების 52.1 %. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების საშუალო ასაკი შეადგენს 70 წელს, აქედან ქალის 75 წელს, მამაკაცის 65 წელს.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 1989 წელთან შედარებით შემცირებულია 16 372 კაცით, რაც იმდროინდელი მოსახლეობის 22.12 %-ს შეადგენს, და რაც გასული საუკუნის 90-იანი წლების სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების საფუძველზე წარმოქმნილი მიგრაციის პირდაპირი შედეგია; მიგრაცია გარკვეული ზომით ამჟამადაც მიმდინარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის უდიდესი წილი მოდის საზღვარგარეთის ქვეყნებში მიგრაციაზე, რაც შეეხება შიდა მიგრაციას ძირითადად მოიცავს მიგრაციას თბილისში. (თუმცა მიგრაციის ამჟამინდელი დონის ზუსტი შეფასება გაძნელებულია).

ზესტაფონის თვითმმართველობაში კარგად აქვთ გაცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარება. მეტიც, იგი აღიქმევა, როგორც ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება. ეკონომიკის განვითარება გულისხმობს როგორც ფინანსური, მათ შორის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, ასევე სოციალური გამოწვევების შემცირებასა და ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტისათვის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს სერიოზულ ბაზას, რათა არსებითად განავითაროს და უკეთესი გახადოს ადგილობრივი მმართველობის სისტემა, ბიზნეს სექტორთან, სსო-თან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან საქმიანი და პარტნიორული ურთიერთობები.

**ამასთან ერთად ადგილობრივი პარტნიორობა, უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირის ინიციატივას, დახმარება გაუწიოს მუნიციპალიტეტს. ევროკავშირის მხრიდან ასეთი ინიციატივები კიდევ უფრო დაახლოვებს საქართველოს ევროპასთან. დაამკვიდრებს საქართველოში ევროპულ ფასეულობებს, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიების 20 %-ზე მეტი ოკუპირებულია მეზობელი ქვეყნის მიერ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.**